1914

Н. Я. НИКОЛАДЗЕ

№ 31

26 ივნისი 1914 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი

5 მან.

ეროვნულ ბიბ. ბიბ. ბიბ.
ბიბლიოთეკა

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲙᲕᲘᲠᲐᲛᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ-ᲔᲙᲝᲜᲝ-
ᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ 10 ᲙᲐ�პ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲦᲘᲐᲐ 9—3 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ.

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.

ᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ: 1. მეთაური. 2. ომი და ჩვენი მატიანე. — **შამქორისა.** 3. ბრძოლის ველზე დაგიწყებულის სიკვდილი. — **ინისა.** 4. აკაკის წერილი გაზ. „თემში“. 5. მასალები სამეცნიერო-ტიპ კრებისათვის. — **მკვიდრისა.** 6. კახეთის რკინის გზა. 7. პასუხად ბ-ნ დებრიგსკის. — **მანისა.** 8. თბილისის ბრესა. 9. სოფარ ასპარეზთა მდგომარეობა. 10. სამხედრო-ტექნიკური გაუმჯობესებანი. — **მეომარისა.**



სოფ. ბაკურციხესთან
(ახლად გაყვანილი კახეთის რკინის გზა.)

თბილისი 26 ღვინობისთვე
1914 წ.

საერთაშორისო ომის ტალღებმა რუსეთთან ერთად საქართველოსაც გადაუარეს და რაც კი ჯანსაღი, მრთელი და ძალოვანი იყო ჩვენში თან გაიყოლიეს ბრძოლის ველზედ. საქართველომ თუ მეტი არა, ყოველ შემთხვევაში თანაბარი მსხვერპლი შესწირა ომის ღმერთს რუსეთის მოსახლე სხვა ერებთან ერთად. გრძელი სიები ქართველ სამხედრო პირთა დაჭრილებისა და დახოცილებისა სამღვთო რკალივით ეჭირება ჩვენს გონებას და ზრდის იმ შეგნებას, რომ სისხლით აღბეჭდილი მოქმედება დაფასებული იქნება ჟამსა განკითხვისასა.

ომის ძალოვანი მანქანა არ კმაყოფილდება ცოცხალ არსთა სისხლით და სულითა, მათი სამხედრო უნარის მოსპობითა, იგი უაღრესად იხვევს თავისი ათასგვარი თვლებით და სოლებით — მთელს ცხოვრებას, არღვევს ერის მეურნეობას მის შინაგან ძალებსა ჰქსაქსავს ათასგვარ ჭირით და შიმშილით უქადის შეშინებასა. ყველა ეს ჭირიც განიცადა და განიცდის სხვებთან ერთად ჩვენი სამშობლო ქვეყანა და მომავალშიაც მოელის ამ მხრივ სხვებთან შედარებით უარესი მატერიალური ზიანი.

მაგრამ საერთო ბედმა ეს არ გვაკმარა და, როგორც მოსალოდნელი იყო, თვით ჩვენი ტურფა სამშობლოს კიდეები ძველებურად ხდებიან ასპარეზად საომარ მოქმედებისა. კვლავ გვიტრიალდება ისტორიული ბედი და მტერთა ურდოები აპირობენ გადალახვას ჩვენი მინდორ-ველისას... კვლავ დატრიალდება ცეცხლის ალი ომიანობისა და მის ქარიშხალთა ბრუნვაში არავინ იცის რა გაჩოისახება, როგორ ჩამოყალიბდება ჩვენი მომავალი, მაგრამ ეხლავე ცხადია ერთი, რომ ომის სუნთქვა დაზიანებს ეხლანდელ კულტურას... იქნებ იმისათვის რომ წარმოიშვას უკეთესი მდგომარეობა.

მაშ რა გვმართებს ჩვენ, რითი შეგვიძლიან შევასუსტოთ ომისაგან განცდილი მატერიალური და სულიერ ხორციელი დანაკლისი, ან რით შეუწყოთ ხელი „უკეთეს მომავალსა“? ამის საპასუხოდ ერთია საჭირო: კარგად უნდა შევითვისოთ უკვე ნათლად გამოსახული განსხვავება ეხლანდელი ომისა წინა საუკუნეების ომებისაგან და ასე ავართვათ ცხოვრებას ალღო.

წინად ომები იყო ხალხური, ე. ი. ერის სათავეში მდგომნი, ქუდზედ კაცს დაუძახებდნენ და ამ მეომართა ბრბოთი შეესეოდნენ მტრის ქვეყანას. ეს ბრბო იშვიათად ექვემდებარებოდა რაიმე დისციპლინას და უფრო ნაკლებ რაიმე გათვალისწინებულ, წინასწარ მოფიქრებულ მიზანს. მტერი მისთვის მარტო მტერი იყო, განსაკუთრებით მისი სიმძულვარის და ქვენა გრძნობათა ობიექტი; მაშინ გაცარცვა, განადგურება, გადაწვა, აოხრება, ამოჟლეტა დიდისა და პატარისა, გახრწნა-გაუპატიურება და სხვა საშინელებანი საუკეთესო საშუალება იყო დამარცხებისა; მაშინ მოდგმა მოდგმას ებრძოდა და რაც მეტად მოსპობდა, მით უფრო უკეთესი იყო. ამას ხელს უწყობდა სარწმუნოებრივი ფანატიზმიც და უმეტესად საერთაშორისო ზნეობრივი კანონი ბარბაროსობისა. მაშინ ომი და ნამეტნავად ჩვენს ქვეყანაში ერთგვარი სამხედრო-ზნეობრივი შარავანდედით იყო მოცული და მისი ყოველი შედეგიც დაკანონებული

დღეს კი რას ვხედავთ? დღეს ცხოვრება ყოველმხრივ განვითარებულია, ყოველ სახელმწიფოში დიფერენციაცია არის მომხდარი სხვა და სხვა დარგებისა: სამხედრო ძალა გამოცალკევებულია სხვა ეროვნულ-კულტურულ ძალთაგან და განსაკუთრებით დახელოვნებულია მტერთან ბრძოლაში; ამიტომ საერთაშორისო კონვენციებზედაც და თვით ცხოვრებისაგანაც შემუშავებულია ის პრინციპი, ის ზნეობრივი კანონი, შეფარდებული საბოლოო პოლიტიკურ, სტრატეგიულ თუ უბრალო ტაქტიურ მიზნებთან — რომ ბრძოლა უნდა ხდებოდეს განსაკუთრებით **სამხედრო ძალთა შორის,** ე. ი. შეიარაღებულ და გაწვრთნილ ჯარებთან. ეს კანონი მით უფრო კანონიერი და ლოგიკურია, რომ თანამედროვე იარაღი და საბრძოლველი საშუალებანი იმდენად ძლიერნი არიან ერთის მხრით, რომ ამ საშუალებათა მოსპობით ისპობა საღსარიც წინააღმდეგობისა და მეორეს მხრით იმდენად რთული, რომ ახალ ძალრა შექმნისათვის დიდი დრო არის საჭირო. ესეც არ იყოს, თანამედროვე ცხოვრებაში ეკონომიურ ძალთა შეძენას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს და განგებ მათი განადგურება, თუ ამას სამხედრო აუცილებლობა არ მოითხოვს არც სასარგებლოა და ზნეობრივ განკიცხვასაც იწვევს მთელი ქვეყნიერობისას. ყველა ამის მაგალითებს მრავლადა ვხედავთ დღევანდელ ტიტანიურ ომში: ბრიუსელი და ლოძზი, რომელთაც წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, ხელუხლებლად იყვნენ დატოვებულნი გერმანელთაგან, რადგან მათთვისვე არ იყო ხელსაყრელი დანგრევა

იმ ცენტრებისა, საცა პირიქით რისამე გამორჩენა შეიძლებოდა ეკონომიურად მეორე მხრით დააქციეს ლუვენი და კალიში, საცა ბრძოლას უწევდნენ. რალა თქმაა საჭირო, კაცმა არ უნდა დაივიწყოს რომ ყველა კ ნონს თავისი უკანონობაც მისდევს თანა და ნებსით თუ უნებლიედ შემთხვევით თუ განზრახ ყოველოვის ექსცესებია მოსალოდნელი და იდილიის მზგავსად უნდა გვქონდეს წარმოდგენილი ომი, რომ არ ვიცოდეთ მისი ცუდი მხარეებიც. შესაძლებელია დაიხოცოს უდანაშაულო და მშვიდობიანი ხალხიც, შეიძლება გადაიწვას რამდენიმე სოფელი ან ქალაქი, შეიძლება გამხეცებულმა ჯარისკაცებმა არ დაინდონ აქა-იქ ბავშვების და ქალების ნამუსი და უსუსურობა – მაგრამ ყველა ეს მხოლოდ დიდი ამბავის მცირედი თანამგზავრები არიან და გადამწყვეტ-გამანადგურებელი ხასიათი არა აქვთ საერთო მოვლენათა მსვლელობაში. უნდა მივიღოთ მხედველობაში ისიც, რომ ჩვენს მიწაწყალზედ მოსული ჯართა ურდოებიც ნაკლებ დაექვემდებარებიან საერთაშორისო კულტურულ კანონებს და იქ, საცა გერმანელები ერთს წაახდენდნენ—ესენი ხუთს იმდენს დააზიანებენ—მაგრამ მაინც ნამდვილი ბრძოლა აქაც მხოლოდ და მხოლოდ ჯარს შეუძლიან ჯართან და მშვიდობიანი ხალხი ომის ფარგლებში არა ჰყვება მშვიდობიანმა, შინ დარჩენილმა ხალხმა მხოლოდ უნდა მაშველი როლი ითამაშოს, დაჭრილებს მოუაროს და შეინახოს, და უმთავრესად თავისი ეკონომიური, სამეურნეო ცხოვრება ისე აწარმოვოს და შეუთანხმოს გარეშე პირობებს, რომ ომის შემდეგ ცხოვრების საშუალება არც მოესპოს და განვითარებაც შეეძლოს.

ეი სწორედ ზემოაღნიშნულ მდგომარეობიდან გამოვდივართ, როცა თამამად შეგვიძლიან უთხრათ სხვებსაც და ჩვენს ერსაც: **პირველი საგანი სიმშვიდეა**, გაგრძელება ცხოვრებისა და მისი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის ზრუნვა. საომრად გასული ჯარისკაცები უნდა გულდამშვიდებულნი იყვნენ, რომ მათი ცოლშვილი ან დედმამა შიმშილით არა კვდება, უნდა დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათი კერა არ დაინგრევა და კვლავად აღსდგება მშვიდობიან ცხოვრებისათვის და ამიტომ უფრო გვმართებს სიფრთხილე და ორგანიზაცია შინაური ცხოვრებისა. მაგრამ, უმთავრესად, ზემოაღნიშნულ მიზეზების გამო – ჩვენ უნდა ავიცდინოთ თავიდან ყოველი შიში, არ უნდა დავიბნეთ, არ უნდა ავიყარ-დავიყარნეთ, არ უნდა გავიქცეთ და გამოვიქცეთ, არამედ ღირსეულად დავხვდეთ, თამამად და ამაყად ყოველს კარზედ მოსულ უბედურებას. იქ, სადაც მთელი სამყარო შეინძრა და შეირყა, საცა საუკეთესო კულტურული ძვეყნები გახდნენ ომის საჯირითოდ, იქ რასაკვირველია ჩვენი ისტორიული მხარეც არ დარჩებოდა გადულახველი, მაგრამ როგორც სხვა ისტორიულ დიდ ეპოქებიდან საქართველო იქნებ დაჭრილი, მაგრამ ცოცხალი გამოდიოდა მომავალი აღორძინებისათვის, დღესაც გამოვა თამამი და თავის სამშობლოს მოსიყვარულე. დღესაც უნდა გამოიჩინოს საკმაო დარბაისლობა და ღირსება, რომ შიშიანობამ გზა-კვალი არ აგვიბნიოს. უმსხვერპლოდ ქვეყანაზედ არაფერი გაკეთებულა რა და იმედი ვიქონიოთ რომ დღევანდელი ჩვენი მსხვერპლიც თავდებია მომავალი კეთილდღეობისა. მაშ შორს ჩვენგან შიში და ვაჩვენოთ მტერსაც და მოყვარესაც რომ საქართველო ისევ ქართველებითაა დასახლებული.

ომი და ჩვენი მატიანე

წარმოუდგენელი რამ ხდება დღეს ქვეყნიერებაზედ. აღსდგა ერი ერზედ და მსოფლიო სისხლის ღვრას დასასრული არ უჩანს. აგერ სამი თვეა და საქმე უფრო მწვავდება, ეჭვი არავის შეაქვს იმაში, რომ გერმანია თავის მოკავშირეებით ბოლოს და ბოლოს დამარცხდება, მაგრამ ძალიან ძნელია იმის წარმოდგენა თუ როგორ გარდაჭმნის და რა სახეს მისცემს მომავალს ცხოვრებას დღევანდელი ომი. ს კი ცხადია, რომ პოლიტიკური რუკა ევროპისა დიდათ შეიცვლება. შეიცვლება აგრედვე ბევრგან მისი სოციალური, პოლიტიკური სახეც. პოლიტიკურ სოციალურ გარდაქმნას მოჰყვება გარდაქმნა სულიერი, კულტურული. მით უმეტეს მოსალოდნელია ყველაფერი ეს, რომ ომმა უკვე დიდი ეჭვები დაჰბადა თანამედროვე მსოფლ-მხედველობის აღსრულების შესახებ. უწყალო და სასტიკმა ჭეშმარიტებამ გაჰფანტა ის, რის გარშემოც თანამედროვე კაცობრიობის ჩაგრული უმრავლესობა აპირობდა შვების მოპოვებ.ს. ტანჯულს და გაწვალებულს ადამიანის აზრს კვლავ დაუსახა ძნელი ამოცანა აღთქმული ქვეყნის ძებნისა და მოპოვებისა.

სად არის ამ საერთო სისხლის ალში ინტერნაციონალიზმი, სოციალიზმი, რომელთ იდეათა განმტკიცებამ შეილია არა ერთი და ორი კეთილშობილი თაობის ძალა და ენერგია, იმ თაობისა,

რომლების მიმდევართა რაზმი ძლიერი და გავლენიანი იყო ქვეყნიერებაზედ, ჰქონდა საკუთარი მწერლობა, საკუთარი სამეფო. რა იქმნა ჩვენი, ახალი დროის, უდიდესი ფაქტორი დემოკრატია, მისი ძლევამოსილი ეროვნებათა სხვა და სხვაობის აღმომფხვრელი, ძმობა-ერთობის იდეა?

ისტორიულმა მსვლელობამ შეუპოვარის სისასტიკით გაიტაცა ყველაფერი ეს ჩალაბულასავით და კვლავ მძიმე საგონებელში ჩააგდო კაცობრიობა, მსოფლმხედველობის გარდაქმნა-გადასინჯვის საჭიროების შესახებ. კაცთმოყვარეობის მცნებათა მაგივრ ჩვენ თვალწინ სულ სხვა, მეტად არასასიამოვნო სურათი გადაიშალა. დაიმსხვრა ტაძარი უკანასკნელ საუკუნოების მიერ აგებულ ჰუმანიტარული მსოფლმხედველობისა და მის ნანგრევებ ქვეშ გამოჩნდა ძველი, ისე როგორც თვით სამყარო, ქვა, წარწერით: **natio nationi lupus est.** სწორედ ასეთ განწყობილებაში არიან დღეს ორ ბანაკად დაყოფილი დიდი ერები. გერმანიამ მგლობა დაუპირა სხვებს, სხვებმა პასუხი გასცეს. პატარა ერებიც მიჰკედლებიან ამა თუ იმ სახელმწიფოს და საერთო მსვლელობაში მათაც თავისი წვლილი შეაქვთ. ჩვენ ქართველნი დიდ რუსეთთანა ვართ შეკავშირებული და რაც ძალა და ღონე შეგვწევს მასთან ერთად პირნათლად ვეწევით ჭაპანს თავზე დამტყდარ მოვლენისას.

მასთან ერთად ჩვენც მოგვიხდება გადასინჯვა შერყეული მსოფლმხედველობისა, გზის დასახვა მომავლისაკენ. მაგრამ ყველაფერი ეს მეტად რთული, მრავალთაობათა საქმეა. მხოლოდ ერთია აშკარა, რომ ამ საქმეში დიდს ადგილს, დიდს ყურადღებას მიიპყრობს ეროვნული ორგანიზაცია, მისი თვისების შესწავლა, სურვილი მისი შეთანხმებისა და შენათესავებისა სხვა ამგვარივე საზოგადოებრივ ორგანიზმებთან. ჩვენ არ გამოუდგებით აქ ამ საჭირბოროტო საკითხების გამოკვლევას რადგან მათ ფართო განხილვას დიდი დრო და მომზადება სჭირია. ჩვენი სურვილია, რადგან დღევანდელმა ჭეშმარიტებამ ყველა არსებულ საზოგადოებრივ კავშირებისაგან ეროვნული კავშირი და იცნო სინამდვილედ—აღვნუსხოთ, რამდენადაც შესაძლებელი იქმნება ჩვენთვის, ქართველი ერის მატიანე, მისი მონაწილეობა და მისი წვლილი ამ მეტად საინტერესო და მეტად სასტიკ, ძალით მოსილ დროში. ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენ, ამ ჩვენი სურვილით, რაიმე ვაჭრული მიზანი გვქონდეს სახეში, რაიმე სამაგიეროს ვითხოვდეთ! ამნაირი საქციელი ჩვენი ისტორიული ტრადიციის წინააღმდეგი იქნებოდა. შეიძლება ამ მხრივ დამნაშავენიც ვიყვნეთ ცხოვრების პრაქტიკულ ალღოს წინაშე, მაგრამ ახლა ჩვენი ისტორიული ზნე.

ჩვენ ჩვენის ხანგრძლივის ბანდეფობის დროს ერთგულად ვდაჯაჯობდით ევროპას. ჩვენის მარჯვენით ჩვენ მიწა-წყალზე ვანელებდით აზიიდან შემოსეულ ურდოთა ძალებს და ისე ჩანელებულს ვისტუმრებდით ევროპისაკენ; ჩვენ მკერდზედ დაჩლუნგდა სპარსეთის ბასრი ხმალი, ჩვენ შევილიეთ ძალა არაბ-ოსმალთა შემოსევისა; აქ, ჩვენ მამულში ჩვენი ხალხის ამბოხების აღზნებულ ცეცხლზე დაიწყო დნობა უდიერმა მონგოლთა ურდომ. ჩვენს ღვაწლს საშუალო საუკუნეთა ტრაგედიაში მტერმა პატივისცა—მხოლოდ ჩვენ შეგვეძლო გაშლილი დროშებით შესვლა უძველეს ქალაქში ქრისტეს საფლავის პატივსაცემლად; მათ შთამოვიალთ კი—ვისიც მესვეურნი ვიყავით წმიდა საქმეში, მათთვის უცნობი ქართველთა სახელი მატიანის ფურცლებიდანაც კი ამოშალეს.

ამისათვის ჩვენ საუკვდეური არავისათვის არ გვითქვამს, არავისთან ვაჭრობა არ დაგვიწყია! მხოლოდ ამითი ვართ ჩვენ ქართველები ამაყნი, ამით შემოშავდა ჩვენი ეროვნული პიროვნება, ჩვენი ისტორიული სახე და სული. არც დღეს გვაქვს რაიმე განზრახვა, განსაკუთრებით ჩვენთვის არაფერს გამოველით, თუნარ სხვებთან ერთად, სხვის უბედურობაზედ ჩვენ ბედნიერების აშენებას არ ვაპიროობთ. ვიბრძვით უმწიკვლოდ მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქობრივ წმიდა მოვალეობის შეგნებით. დაიწყო თუ არა ომი, ქართველობა მთელი თავის არსებით ჩაება ომში, პირადის სამსახურით თუ, ქონების შეწირვით.

წილად არა გვხვდა, რომ სხვასავით დიდი როლი გვეთამაშნა უმაღლეს პოლიტიკაში, სამაგიეროდ სახელმწიფო დაცვის წმიდა და დიდმნიშვნელოვან საქმეში, ჩვენი ცხოვრების სოციალური და ეკონომიური ვითარების მიხედვით კი უფრო მეტი, შედარებით სხვასთან, ბეგარა დაგვედო კისერზე. ვამბობთ, უფრო მეტი და ეი რატომ? დაჭრილთა და დახოცილთა ყოველ დღიური სიის ზერეული გადასინჯვაც კი აკვირვებს კაცს დაღუპულ ქართველთა რიცხვის სიდიდით საერთო რიცხვთან შედარებითა. არც ერთი ერი არ იძლეოდა სამხედრო მოსამსახურეთა ისეთს დიდს პროცენტს, როგორც ქართველობა და ამას თავისი მიზეზიც ჰქონდა. ჩვენი ისტორიულის პირობების გამო ჩვენ გვყავდა მრავალ რიცხოვანი სამხედრო მოსამსახურე კლასი (თავად-აზნაურობა), რუსეთთან შეერთების

შემდეგ ისეთ ქვეყანაში, სადაც ვაჭრობა-მრეწველობა არ იყო, მეურნეობა პრიმიტიულ პირობებში სწარმოებდა, საერობო ან ეროვნულ დაწესებულებაში თავს ვერ შეაფარებდნენ, რ დგან იგინი დღეს აც არ არსებობენ; ამ მრავალ რიცხოვანმა კლასმა მხოლოდ მოხელეობაში იპოვა ხსნა. ხასიათი და ეროვნული თვისებანი იზიდავდნენ და აწინაურებდნენ უფრო სამხედრო ასპარეზზე. ამ ძირითად მოვლენას ბოლო დროს შემთხვევით ხასიათის მიზეზებიც მიემატა. ასი წლის იუბილეს თავზე მთავრობამ მოგვცა რამდენიმე სტიპენდია საკადეტო კორპუსებში. ღარიბი თავად-აზნაურობა დიდის სიამოვნებით სარგებლობდა ამ წყალობით და ყოველ წლიურად რამდენიმე ათეული ნორჩი ყმაწვილი იგზავნებოდა რუსეთში სპეციალურ სამხედრო სწავლის მისაღებად. ჩვენში გამეფებული ჰუმანიტარული გიმნაზიები ამ მხრივ ზედმეტ წყაროდ გადაიქცნენ. ჩვენი სიღარიბე საშუალებას არ აძლევდა გიმნაზიაში კურს დამთავრებულთ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებისას და იძულებულ ხდიდა სამხედრო სასწავლებლისათვის შეეფარებინათ თავი.ი, ამ გზით და ჩვენებურ, თუ შეიძლება ასე ითქვას, განსაკუთრებული პირობების გამო აღიზარდა ის მრავალ-რიცხოვანი ქართველი ოფიცრობა, რომელიც ასე ღირსეულად და პირნათლად ეწევა სამსახურს საერთო სამშობლოს წინაშე! ასევეა საქმე უბრალო ჯარის კაცთა შესახებ. შეურყეველ ცნობად არის მიღებული, რომ ის ქვეყანა იძლევა შედარებით მეტს რიცხვს სამხედრო მობეგრისას, სადაც **სოფლური**, და არა ქალაქური, ცხოვრება სჭარბობს. ამ მხრივ ჩვენი ქვეყანა პირველ კატეგორიად უნდა ჩაითვალოს ისეთს საერთო მოვლენას, როგორც არის ნაკლები სისაღე ქალაქისა და, მაშასადამე, მეტი უვარგისობა მოქალაქეთა სამხედრო ბეგარის მოხდაში, ზედ ერთვის ყოველნაირი განთავისუფლება სამსახურის გამო და ყოველგვარი ცდა რაიმე ხრიკებით ბეგარიდამ თავის დახწევისა. ბოლოს გულუბრყვილო და საღი სოფლელი გამოდის უმეტესად დაბეგრილი ვიდრე სუსტი და ოინბაზი ქალაქელი.

ქონებრივ შესაწირითაც ქართველი ხალხი ჯერ სხვას არ ჩამორჩენია. ყველგან სადაც კი მოიპოვება ქართველობა, თავის განწირვით ეწევა წმიდა მოვალეობას დაჭრილთა და დაზარალებულთა სასარგებლოდ. ისეთ ქალაქებშიაც-კი, როგორც პეტერბურგი და მოსკოვია, ქართველებისათვის, ქართველთა შეწირულებით და პირადის სამსახურით არსდებიან სამკურნალოები და თავშესაფარები, სამშობლო მხარეშიც ხომ ჩვენი ღარიბი საზოგადოება არაფერს არ ზოგავს, პერანგს იხდის და მიაქვს სამსხვერპლოზე. საერთო ომიანობით გამოწვეულს ეკონომიურს პოლიტიკას ჩვენ უფრო მეტის სიმწვავით განვიცდით. ყველამ უწყის, თუ რა მძიმე ეკონომი-

ქ. რკ. გზ. სადგური „საგარეჯო“.

ური კრიზისი გამოიწვია კახეთში სასმელების აკრძალვამ. ეს იმ დროს, როდესაც ჩვენ არავითარ ეკონომიურ სარგებლობას არ გამოველით. ჩვენ არ გვყავს მრეწველი და მოვაჭრე კლასი, რომელიც ისარგებლებს სამხედრო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელ „პადრიადების" მოგებით.

ასეთი უმწიკვლო და დიდია, შედარებით სხვასთან ჩვენი პირადი და ქონებრივი სამსახური საერთო სახელმწიფოს წინაშე.

ოსმალეთის ომის გამოცხადება კიდევ სხვა მსხვერპლს მოითხოვს ჩვენგან, მაგრამ ამაზედ შემდეგ.

შამქორი.

ბრძოლის ველზე დავიწყებულის სიკვდილი

ცას სახე დაღვრემოდა. ბუნება ძაძით შემოსილიყო. ახალგაზრდა ვაჟკაცი უცხო მხარეში სისხლით იცლებოდა. სამშობლოსათვის გულიდან მოეგლიჯათ, ომში წამოეყვანათ და ახლა ბრძოლის ველზე უპატრონოდ სული ჰხდებოდა.

— წყალი, დედავ, წყალი!—წამოიძახა მისუსტებულის ხმით და წამოჯდომას შეეცადა, მაგრამ ვერ მოახერხა. რის ვაი-ვაგლახით მარჯვენა ხელს დაეყრდნო, ცოტათი წამოიწია და გარემოს უძლური თვალები მიმოავლო.

ბრძოლის ველი ცარიელი იყო. მარტო პატარა გორაკი მოსჩანდა. ზედ ხის ჯვარი ამართნათ.

— წასულან!—სთქვა სასოწარკვეთილებით დაჭრილმა და ღონემიხდილი დედამიწას მიესვენა.

ხმა აღარ ამოუღია. თვალები უწითლდებოდა, ტანი უხურდებოდა. ცივი ნიავი ზედ დასისინებდა და ჭრილობას უგზნებდა.

დაჭრილი გმინავდა და გულში იწყევლებოდა. ვერ მიხვედრილიყო, თუ რად ებრძოდა ამ უცხო მხარეში მისთვის სრულიად უცნობ ხალხსა.

— რას მიშავებდნენ მე ცხრა მთას იქით მყოფსა.—ფიქრობდა დაღონებული.—სახლში არ მომხტომიან და ცოლშვილი არ აუწიოკებიათ ჩემთვის...

ცოლშვილის გაგონებაზე გულმა ცემა დაუწყო. ადუღდა. ცრემლები გადმოყარა. ცოტა ხნის შემდეგ გული ისევ მოიბრუნა. თითქოს ტკივილებმა უკლესო, მიუყუჩდა. რაღაც უცნაურად გამოიცქირებოდა. პირზე ღიმილი უკრთოდა. ეტყობოდა, გონება სულ სხვაგან უქროდა, აღარც მტერი აგონდებოდა, აღარც ჭრილობა, თვალწინ აშკარად სამშობლო მხარეს ჰხედავდა: ამაყად გამოიყურებოდნენ მაღალი მთები; მხიარულად მოხტოდნენ მთის პატარა მდინარეები და თავის მწვანე ნაპირებს ეთამაშებოდნენ, პატარ-პატარა ველები კეკლუცად იშლებოდნენ.

— აი ჩვენი სოფელი!—ამბობს დაჭრილი.—ჩვენი კარ-მიდამო!.. დედაჩემი... დედი! დედი!—უძახის დედას გახარებული.

მაგრამ დედა ყურს არ უგდებს, უძრავათ სდგას და სევდიანად გასცქერის შორ გზასა. თმა ძალზე გასჭაღარავებია, წელში მოხრილა, მოტეხილა.

— დედი, შენ შვილს ვერა ჰხედავ?—ჰკითხებს გულნატკენი შვილი დედას.—აი მოვედი.

მაგრამ დედა მაინც ვერავისა ჰხედავს და სულ გზას გაჰყურებს.

სახლიდან ახალგაზრდა ქალი გამოვიდა. უმტვერო ქაღალდივით თეთრი კაბა ეცვა. წერწეტი ტანი დერწამივით ერხეოდა. შავი ნაწნავები კოჭებამდინა სცემდა. შავი წარბები მოღუშოდა. შავი თვალები ცრემლით გავსებოდა. ქალს ორი პატარა მარგალიტივით ბავშვი გამოჰყვა. ცელქები დედას კაბის კალთაზე ებღაუჭებოდნენ და რაღაცას შესთხოვდნენ.

— ნაზო!—უძახის დაჭრილი ცოლსა.—შენ ზენოს ვერა ჰხედავ?—მოდი მომეხვიე... სამი თვე იქნება რაც აღარ მინახიხარ.

მაგრამ არც ნაზო აქცევს ყურადღებას.

ქალი უახლოვდება დედამთილს და რაღაცას ეუბნება. მოხუცებული ტირის და სიბრალულით უცქერის შვილიშვილებს. ნაზოც ტირის.

— რა დაემართათ!—ფიქრობს ზენო.—ვისა სტირიან?—გოგონავ! ბიჭუნავ!—უძახის ახლა შვილებს.—მამა არ გინდათ, მამა?

მაგრამ ვერც ბავშვები ჰხედავენ.

უცბად გაისმა ფოთხრიალი და ტკბილი მოჩვენება გაქრა. ზენოს ახლა რომელიღაც შავი ფრინველი თავს დასტრიალებდა. ფეხთ ვიღაც შავებში გახვეული ადამიანი მოსჯდომოდა, სახე მოებურნა.

— ვინა ხარ?—შეეკითხა ზენო.

უცნობმა ხმა არ გასცა, წამოდგა. კარს შემოუარა და თავით მოუჯდა.

დაჭრილი შეძრწუნდა.

— ვინა ხარ?—გაიმეორა ხმის კანკალით.

უცნობი ხელმეორედ წამოდგა, ზენოს წინ გაჩერდა და წამოსასხამი გადაიწია.

საშინელება რამ იყო. ზენოს თვალებმა ითვლდივით

თეთრი ძვლის კაცი შეჩერდა. თვალების ადგილას შავი ორმოები მოეჩანდა, კბილები დაჭრეტოდა.

ჩიჩხმა ნელ-ნელა ასწია ხელი და ზენასკენ გაიშვირა.

ზენას ენა დაეფუნდა.

— გინდა შენ სამშობლოში წაგიყვანო?—შეეკითხა ჩიჩხი.

სამშობლოს გაგონებაზე ზენას გულს მოეშვა.

— მაშ ადე ჩამეკარ გულში.—ეთხრა ჩიჩხმა.

ზენა შეეფეთხანდა.

ჩიჩხმა ადარ აცალა. წაავლო შკლავებში ეიხეულიეთ ციცი ხელები და ნელ-ნელა ასწია მაღლა.

ზენას ძარღვებში სისხლი გაეეიხა, სული შეეგუბა. გულის ცემა შეეწყვიტა.

ზენა ძვლის კაცმა გულში ჩაიხუტა.

ცა ატირდა და გაციებულ კვამს მშობელი ადგილის მაგიერ თვის ტრეფლთა დვარები დაადინა.

ინი.

აკაკის წერილი

ორასი ათასი მეომარი გამოიყანა ჯერ-ჯერობით ამ პატარა საქართველომ და იძულებითი არა ყოფილა რა!

ყველა თავის სურვილ-ნებითა და სიხარულით მიისწრაფოდა რუსის ჯარებთან ერთად თავდასადებად შორეულ ქვეყანაში. დიდი ხნის გულის ნადებმა გრძნობამ სიმღერათ ამოიხეთქა და ტკბილი გუგუნი გადაეცა საქართველოს მთასა და ბარს. ერთი საუკუნეა, რაც ამისთანას არას მოსწრებია რა საქართველო. დღევანდელ ქართველში გამოიღვიძა წინაპარმა! გმირული სიკვდილი აღარაფრად მიაჩნია და თავის განწირვით უნდა რომ სხვების სიკვდილი დასთრგუნოს და მომავალ დგმას ცხოვრება მიანიჭოს!...

რამ გამოუღვიძა, მთელ საუკუნის განმავლობაში მიყუჩებული გრძნობა?—იმ აღთქმამ, რომელიც გამოიხატება სარდლის სიტყვებში: „რუსეთი გამოდის მოსარჩლედ პატარა ქვეყნების, რომელნიც ძალმეორობით დაჩაგრული არიან! დღე, ამიერიდან ნული იქნება პატარა ერის გაქელვა და ქვეყნად დამყარდეს თანასწორობა, ძმობა ერთობა და სიყვარული“—აი სწორედ ამ აზრით იყვნენ ჩვენი წინაპრები გამსჭვალულნი, როდესაც რუსები მოიწვიეს!

თუ დღემდის არ ხორციელდებოდა ეს დიადი აღთქმა ეს სულ ზოგიერთების ბრალი იყო და დღეს გაახლებულ რუსეთის აზრი და სურვილი გამოითქვა უმაღლესის პირით. იმედია ასრულდება ჩვენი წინაპირების განზრახვაც. . . . . .

. . . . . .

სწორედ ამან ააფრთოვანა დღეს საქართველო და მოაგონა მამაპაპის ანდერძი: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“!

გაუმარჯოს დიდებულ რუსეთს და მასთან ერთად ამ პატარა საქართველოს!.. მრავალ ჟამიერ!.. („თემი“.)

აკაკი.

მასალები სამელიორაციო კრებისათვის

(გაგრძელება)

მეორე მომხსენებლად გამოვიდა ბ-ნი ი. მ. ლებედევი—წევრი ხახელმწიფო-სათათბიროსი. იგი სათათბიროში მომხსენებელი იყო იმ განყოფილების შესახები ხარჯთ-აღრიცხვისა, რომელიც განაგებს მიწათ-გაუმჯობესების საქმეს. და შედის მიწათ-მომწყობ და მიწათ-მოქმედ მთავარ გამგეობაში. ბ-ნმა ლებედევმა აღნიშნა თავშივე, რომ სულ ცოტა ხანია, რაც თვით განყოფილება დამოუკიდებელ ერთეულად გადაიქცა, რაც იგი გამოეყო გადასახლების მოგვარებულ გამგეობას.

მიწათ-გაუმჯობესების განყოფილების ხარჯთ-აღრიცხვა ერთობ დატვირთულია დასახული განზრახვებით.

მიწათ-გაუმჯობესების განყოფილება თავის ყურადღებას აქცევს თხლათ დასახლებულ განაპირა

ქვეყნებს. ამით იგი არ ემსახურება თავის ძირითად მიზანს, რომელიც იმაში მდგომარეობს რომ გააუმჯობესოს მიწით სარგებლობა იქ, სადაც ეს მიწით სარგებლობა ერთობ შევიწროებულია. იგი პირიქით ხელს უწყობს იმ გარემოებას, რომ გამოსაყენებლად გადააქციოს ისეთი მხარეები, სადაც უიმისოდაც დიდძალი გამოუყენებელი მიწებიაო,—განაგრძობს მომხსენებელი. ის თანხა, რომელიც გადადებულია კავკასია-ციმბირ-თურქისტან-„სტეპნაია“ ოლქისათვის, შეადგენს დაახლოვებით 60 პროც. მთელი საოპერაციო ხარჯებისას, რომლებიც მიწათ-გაუმჯობესების განყოფილების განკარგულებაშია. როდესაც კარგად ჩაუკვირდებით ამ გარემოებას და თანაც იკითხავთ, თუ რატომ იხარჯება ეგზომ დიდი ფული ამ განაპირა ქვეყნებისათვის, განაგრძობს მომხსენებელი—ცოტად თუ ბევრად ირკვევა ერთ-ერთი უცხო მიზანი, რომელსაც ხსენებული უწყება ემსახურება კრედიტების განაწილების დროს. ეგ მიზანია გადასახლების საკითხი. უწყება უმთავრესად იმ მიზანს ემსახურება, რომ მიწა გამოსადეგი გახადოს გადასახლებისთვის, რომელსაც უეჭველი რუსიფიკატორული ელფერი დაჰკრავს. ყოველ შემთხვევაში, ეს ტენდენცია, აშკარაა, რაც შეეხება კავკასიასა და თურქისტანს და იგი ტენდენცია, იშვიათის დაჟინებით გაყავთ ცხოვრებაშიო. ხოლო ზოგიერთ ხარჯთ აღრიცხვაში პირდაპირ ნათქვამია:

პრაპორ. ივლიანე ჩახავა (დაჭრილია).

პოდ. ილარიონ ჯობავა (დაჭრილია).



კ. რკ. გზ. შუა სადგური „ბურჯაანი“ საიდანაც გზა წავა თელავისაკენ ერთის მხრით და წნორის წყლისაკენ მეორე მხრით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპ. ვლადიმერ ლაღიძე.

პოლკ. ო. კონს. გიორ. ძე შერვაშიძე (მოკლულია).

პორ. შალვა აბესაძე.

ორ. ვალერიან ლოლაძე.

შტ.-კაპ. კარპეზ ანთაძე (დაჭრილია).

პორ. დიმ. ჩრდილელი.

პოდ. თავ. არჩილ ხიდირბეგიშვილი (მოკლულია).

შტ.კაპ. ნიკანდრი გოგიტიძე (დაჭრილია).

კაპ. ალექ. ბოგიტიძე (დაჭრილია).

„თანხა გადადებულია იმისთვის, რომ მიწა-წყალი გამოსადეგი გახადოს რუსების გადმოსასახლებლადო;“ „კერძოთ კავკასიაზე რომ შევჩერდეთ ჩვენ განცვიფრებაში მოვდივართ იმ თანხის სიცოტავით, რომელიც კავკასიისთვის გადადებულ 1.500,000 მანეთიდან, ხმარდება ადგილობრივ მცხოვრებთა საჭიროების.“ „მელიორაციის შესახები საკითხი, ხშირად იარაღის ხმარებას მოითხოვს ადგილობრივ მცხოვრებთაგან და ზოგჯერ მთელი სოფლები ერთი მეორის წინააღმდეგ ილაშქრებენ, რათა საჭირო წყალი ხელთ იგდონ, მაშინ როდესაც ამ საჭიროების დასაფარავად გადადებული თანხა ერთობ მცირეა: ასე მაგალითად, წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლისთვის გადადებულია სულ რაღაც 34.025 მანეთი, ხოლო ხონაშენის „კიარგიზების“ შესაკეთებლად—19,546 მანეთი—აი ეს გახლავთ ის თანხა, რომელიც ემსახურება მართლა ადგილობრივ მცხოვრებთა საჭიროებას.

იგი თანხა ძლივს სცილდება 50,000 მანეთს, მაშინ როდესაც დანარჩენი ფული სულ ერთიანად გადასახლების პოლიტიკის წარმოებას ხმარდებაო? ამ გვარად ამბობს ბ-ნი ლებედევი—კავკასიაში სამელიორაციო მიზანი, მკაცრად ექვემდებარება გადასახლების მიზანსო!“

„მეორე უცხო მიზანი რომელსაც მიწათ-გაუმჯობესების განყოფილება ემსახურება კავკასიაში, გახლავთ მებამბეობის განვითარება; ამერიკასთან შეჯახების გამო და რამდენიმედ თვით მთავარ უწყების კერძო გემოვნების წყალობით, მებამბეობისათვის მიწების მოწყობას ერთობ დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. მთელი ის თანხა, რომელიც თურქისტანისთვის არის გადადებული, და მეორე წილი კავკასიისთვის გადადებულისა ხმარდება სწორედ ამ მებამბეობას“.

„ამრიგად—დაასკვნის მომხსენებელი— გარდა პირდაპირი დანიშნულებისა, მიწათ-გაუმჯობესების განყოფილება უცხო დანიშნულებას ეტანება: გადასახლებას, მებამბეობას და მიწათ-მოწყობისათვის ხელის შეწყობას; და მასთან ეს უცხო მიზნები იმდენად სჭარბობს მათ განყოფილების მიერ მთავარ დასახულ მიზანს, რომ მთავარი მიზანი მეორე და მესამე ხარისხოვან მიზნად არის გადაქცეული.

ამიერ-კავკასიისათვისაც ფრიად საინტერესო ცნობებია მოყვანილი მესამე მოხსენებაში, რომელიც ეკუთვნის სახელმ. სათათბ. წევრს ბ-ნ ს. ს. კრიმს და რომელიც ატარებს ამ სახელწოდებას:

„თურქისტანში კერძო პირთა ხარჯი, სარწყავ სამუშაოთა წარმოების კანონი“.

ყველა საჭიროების შორის, საკითხი მორწყვის შესახებ ნათლად და წყაროდ ირკვევა და მას პირველი ადგილი უჭირავს მთელს თურქისტანში. დანარჩენი საკითხები მეორე რიგშია ჩამდგარი. უეჭველია, დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, როგორც ამ მხარის ცხოვრების გაშუქებას სახელმწიფო სათათბიროში ადგილობრივ მოსახლეობის წარმომადგენლებისაგან, რომელთაც საუკუნოებით შეუმუშავებიათ, როგორც ტექნიკა, ისე თვით წესიც სარწყავებისა, ისე ცოცხალი სიტყვითაც იმათი, ვინც რუსეთიდან არის გადასახლებული, ამბობს ბ-ნი კრიმი.

სარწყავ წყალში არსებითი მნიშვნელობა აქვს თვით წყლის ამღვრევ ლექსა და სიმღვრივეს და წყლის ქიმიურ შემადგენელობას. ყირიმსა, კავკასიასა და თურქისტანში, საზოგადოთ ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ირიგაცია არის მოწყობილი, ამ ლამს ერთობ დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის მეურნეობაში; ამ ლამის წყალობით ყირიმსა და კავკასიაში ვენახი მთელი საუკუნის განმავლობაში უსასუქოთ ხარობს. მე მინახავს ერთი ამგვარი ვენახი ყირიმის ერთ ერთ ველზედ, სადაც ყურძნის მოსავლის შესახებ 1810 წლიდამ ცოფრები მოიპოვება.

ყოველ წლივ ვენახი ირწყვება მთის მღვრია წყლითა და მიუხედავად იმისა, რომ მიწა არც ერთხელ არ გაუსუქებიათ, ყურძნის მოსავალი მთელი საუკუნის განმავლობაში ერთი და იგივე იყო: 350—500 ფუთამდე.

მომხსენებელი შემდეგ განაგრძობს: „ახალი

ენვერ ფაშა (ოსმალეთის ეხლანდელი ფაქტიური ბატონი).

უცნობი პირობა, კიდევ ერთი ძნელი მხარე, კიდევ ერთი საკითხავი, რომელთაც მეურნე იძულებულია დიდ ფასად დაზღვევოს თავისი ქონება—ეს არის რაოდენობა საჭირო წყლისა მიწის ერთეულზედ. ჰიდრომოდული, რომელიც მიღებულია ანგარიშით—1 კუბიკური საჟენი ერთ წუთში ათი-ათის დესეტინაზედ, თეორიული საზომია, და ცხოვრებას დაშორებული, როგორც გამოკვლევამ დაამტკიცა.

როდესაც სახელმწიფო გამოჰყოფს ხოლმე სახაზინო დიდ ველებს, იგი არა მარტო ჰკარგავს დიდ ფასს უცოდინარობის გამო, რაკი არ იცნობს თავისავე საქონელს, არამედ ჰკარგავს ერთ უდიდეს ძალასაც—გავლენას ეკონომიურ ცხოვრების მიმართულებაზედ ისეთ ძვირფასს და მეტად „საჭირო“ რაიონში, როგორიც არის თურქისტანი.

ამის შემდეგ, თუ მივიღებთ კანონის პირველ მუხლს, რომლის ძალითაც თურქისტანის საგენერალ-გუბერნატოროს მთელი წყლები, მიუხედავად იმისა თუ ვის მიწაზედ მოიპოვებიან--სახელმწიფოს უმაღლეს გამგეობაშია—ჩვენ აზრად არა გვქონია შექმნა სახელმწიფოებრივი ახალი დომენისა, რომელსაც გასცემდნენ განსაკუთრებულ მონოპოლიად, არამედ ვსტოვებდით სახელმწიფოს ხელში, რომელსაც აბარია საზოგადო ინტერესების დაცვა.

შემდეგ ბ-ნ კრიმს მოჰყავს ამონაწერები თურქისტანის მიწათ-მოქმედების და მიწათ-მოწყობის მთავარ-გამგის წერილიდან: „მეტად და მეტად ძნელი იქნებოდა სარწყავების მოწყობა ისეთ მიწის არევდარევის დროს, როცა გამოურკვეველი რჩება, თუ სად თავდება მიწათ-მფლობელობა ხაზინისა და სად იწყობა კერძო“, და არ შეიძლება ამას არ დავეთანხმოთ, უმატებს თვით მომხსენებელიც.

სახელმწიფო-სათათბიროში მიღებული იყო სურვილი ახალ მიწათა მორწყვისა, თანახმად წინასწარ შემუშავებულ საზოგადო გეგმისა ყოველ ხელობისათვის.

ეს გეგმა სისტემატიურად უნდა შესრულებულიყო. გატაცებული ლტოლვა ხელოვნურად მორწყულ მიწების გაფართოებისაკენ ცოტა ფული და ძალა არ დაუჯდა რუსეთის სახელმწიფოს.

კანონ-პროექტი სახიფათოა კერძო მეურნესათვისაც; ვერც ერთი მეურნეობა ვერ განვითარდება ადმინისტრაციის საქმეში ჩარევის დომოკლეს მახვილ ქვეშო; ცოცხალ კომერციულ საქმეში შეყვანა საადმინისტრაციო ელემენტისა მეტად სახიფათოა.

კერძო მეურნე, როგორც განსაკუთრებით გამორჩენის მაძიებელი, დაადგება ყველაზედ ნამდვილს, პრაქტიკულს და სასარგებლო გზას, სახელდობრ შეაერთებს ადგილობრივ ნაცადს, [illegible] ხელოვნებასა და საგრონომიო მეცნიერებასთან, ე. ი. შეჰქმნის ახალ თურქისტანში სარტების მეურნეობას რუსულთან ერთად.

დასასრულ სახ.-სათ. წევრი ს. ს. კრიმი დაასკვნის: „სწორე სამელიორაციო საქმეთა მოსაწყობად საჭიროა დაწვრილებითი და სისტემატიური შესწავლა და გამოქვეყნება ეკონომიური და ბუნებრივ-ისტორიული პირობებისა მეზამზეობის და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ რაიონებში“.

ბერეზოვის მოხსენებაზედ შემდეგ.

მკვიდრი.

კახეთის რკინის გზა

ამ რამდენიმე ხნის წინად ტფილისიდან გაემგზავრა კახეთისაკენ პირველი მატარებელი, რომელმაც მოგზაურობის შემოსავალი შესწირა დაჭრილთა დამხმარე კომიტეტს. სხვა მოგზაურთა შორის ბრძანდებოდა თ-დი დიმიტრი ჩოლოყაშვილიც, რომელმაც კეთილ ინება და ჩვენის თხოვნით გადმოგვცა დასაბეჭდათ რამდენიმე სურათი კახეთის რკინის გზის სადგურისა და სხვა და სხვა ადგილებისა. ჩვენი ჟურნალი, რომელიც ყოველთვის მოსარჩლედ გამოდიოდა ამ დიდმნიშვნელოვან საქმისა, ერთხელ კიდევ სიამოვნებით აღნიშნავს რომ გზა სულ მცირე ხანში ამუშავდება და როგორც გამოირკვა მარშალთა და დეპუტატთა წარსულ კრებაზედ სულ ორიოდე ვერსი და დარჩა გასაკეთებელი თელავამდის. გიორგობისთვის გასულს უკვე დაიწყება დროებითი მოძრაობა და, კარი გაეღება კახეთის ვაჭრობის, მეურნეობის და სხვა დარგების განვითარებას. ჩვენი სამოთხის დარი კახეთი მჭიდროდ გადაებმის დანარჩენ საქართველოს და ახალ საფუძვლებს შეჰქმნის დღევანდელ დიადი მომენტის ზეგავლენით ისედაც შეკავშირებულ საქართველოს უფრო მჭიდროდ გაერთიანებისათვის. დიდება და პატივი იმ ქართველ მოღვაწეებს, ვინც ამ გზას „სიძნელე გზისა გაუადვილეს“ და ხორცი შეასხეს თეორეტიულად დიდი ხნის მოაზრებულ საქმეს; მათი სახელები ოქროს ასოებით უნდა იყოს აღბეჭდილი არა მარტო ყოველ ქართველის გულში, არამედ ყველა იმ სადგურზედაც, სადაც მომავალი რკინის გზის მატარებელი გაჩერდება დასასვე-

ნებლად და წყლის დასალევად. დიდი დვაწლი მადლიერი ქართველი ერისაგან ეროვნულთვის დაფასებული იყო; და უნდა იყოს კიდევაც ეროვნულის. დღე ის მოვლენა, რომ ვირველი შემოსავალი ამ გზისა გადაიდო დაწყებულთა საარგებლოდ, მასწავლებელი იყოს იმისა, რომ ვახუთის რკინის გზა დაწყებულ საქართველოს წყლულებსაც დასდებს მალამოს და მისი შემოსავლით განიკურნება ათასი ჩვენი ავადმყოფობა. მაშ მით უფრო მხნედ და სიხარულით შევხვდეთ ამ გზას ამისთანა გასაჭირის დროს, რომ გასამხნევებელი და სასიხარულო ბეური არ არის ჩვენისაზედ. ჩვენი გულწრფელი სალამი ვახუთის რკინის გზას!

პასუხად ბ-ნ დუბროვსკის

„კავკაზსკოე სლოვოს“ პატივცემულმა თანამშრომელმა ბ-მა დუბროვსკიმ, სრულიად ნოულოდნელად გამოილაშქრა ჩვენზედ და სრული სიწყნარის, სიმშვიდის და სიჩუმის დროს იარაღის ჩხარუნა შოვინიზმი ლაგვწამა. რასაკვირველია, ეს აიხსნება იმით, რომ საზოგადო მოვლენანი უფრო სწრაფი ტემპით მიდიან, ვიდრე ამას ადამიანები ამჩნევენ და ბ-მა დუბროვსკიმაც დაიგვიანა. მაგრამ ამას კერძო მიზეზებიც აქვს, სახელდობრ ის, რომ ბ-ნ დუბროვსკის ალბად გულუბრყვილოდ „კავკაზსკოე სლოვო“ კავკასიის ერთა ინტერნაციონალური ორგანო ჰგონია.

რით აიხსნება ისეთი მოვლენა, რომ განსაკუთრებით სომეხთა საკითხებით დაინტერესებული გაზეთი, რომელიც მხოლოდ რაღაც ნამცეცებით გაიხსენიებს ხოლმე ქართველობასაც, დღეს ბატონ დუბროვსკის პირით ლაპარაკობს ქართველების შოვინიზმზედ და სომეხთა შოვინიზმს ვერა ხედავს? ან დღევანდელ მომენტში, როცა ყველა სოლიდაროობას ქადაგებს, და ბ-ნი დუბროვსკიც ამ მოსაზრებიდან გამოდის— რა დროს შოვინიზმზედ ლაპარაკია? ჩვენ გვიკვირს, რომ ბ-ნ დუბროვსკის სომხური გაზეთში განუცდია სომხური გავლენა და იმათსავე ძველ მოტივებს იმეორებს. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ბ-მა დუბროვსკიმ კარგად იცის ქართული და ჩვენს წერილში „შვიდი კაპიკი“, თუ არა სასიამოვნო რამ დაინახა, ალბად ნისრის მჭამელის დღე განუმეორდა, თორემ გულწრფელად და თამამად შეგვიძლიან თქმა, რომ კავკასიელ ერთა სოლიდაროობას ჩვენა, —კი არ ვარღვევთ, არამედ გარკვევით ვამბობთ: ყველას თავისი წილი უნდა ახსოვდეს და სხვისას არ ეპოტინებოდეს. „კავკაზსკოე სლოვო“ კი **სოლიდაროობის** მქადაგებელი კი არა, **ალრევის** მქადაგებლად გამოდის ალბად, რომ ისეთმა ქართველებმა მოიყარეს იქ თავი, რომელთაც ქართული არა სწყინთ რა და ფულისთვის „კავკაზსკოე სლოვოში“ კი არა, ჰოტენტოტურ გაზეთშიაც იმუშაბენ. ჩვენი პოზიციები ისეთია, რომელთაც ქართველ ერის ღრმა ინტერესების შეგნებასთან აროის დაკავშირებული და მათ დამცველებად ვერ გამოგიყვანთ იმ ელემენტს, რომელიც ფულად ჭყიდის თუნდ მარტო შრომასაც იქ, საცა ქართველობის ინტერესები იჩქმალება. ბ-ნ დუბროვსკის კარგი განზრახვები ჰქონია, ღმერთმა კეთილი მისცეს, მაგრამ გარეშე მაყურებელის როლიდან რომ შიგნით მაყურებლისაზედ გადასულიყო, არ წაბოსცდებოდა ამ დროს და ამ საგანზედ ბაასი სომხური კილოთი. საზოგადოთ არბიტრის როლი მაშინაა კარგი, როცა ობიექტიურია.

მანი.

თბილისის პრესა

გაზეთი „ბკვ. სლოგ“ სწერს გაშინდელ ნომერში: ოსმალეთის ოფიციოზმა „ტანინმა“ გავრცელა ცნობა: რუსეთის მთავრობა და ბერძენ მეფის მოადგილეს ძალაუფლება აქვს ოსმალეთის სომხეთთან, რათა სომხეთი გაერთიანდეს რუსეთის შეფის სკიპტრის ქვეშ. სტამბოლიდან ეს ცნობა გადაიტანეს ფრანგულ გაზეთების ფურცლებზე, იქიდან კი რუსეთს სატახტო გაზეთებშიც გადაბეჭდეს.

ეს მოხდა ომის დაწყებამდე, ჩვენ მაშინვე ადგილიშნეთ, რომ ასეთი მოლაპარაკება სამთა შეთანხმების სხვა სახელმწიფოების დაუთანხმებლად, საეჭვო არ არის და ვიმედოვნებდით, რომ მთავრობა დაჩქარებდა ამის უარეოფას. ეს უარეოფა მით უფრო საჭირო იყო, რომ მოსკოვის გაზეთები გადაჭარბებულ მებრძოლი ხასიათისანი, ძალიან სიხარულით ითვრებოდნენ და ჩვენ მთავრობას აქებდნენ ინიციატივისათვის, რომელიც ამ მთავრობას, ომელსაც ომის საბედნიეროდ, არ გამოუჩენია. მიუხედავად ამისა, ბერლინში ბარონ ვანგენჰეიმის გაგზავნით „ტანინის“ მიერ ატეხილმა ალიაქოთმა თავისი მოქმედება იქონია. სომხეთის მთავრობა შეშფოთდა და სტამბოლში დაიწყო იმის გამოძიება, თუ რამდენად მართალი იყო ტანინის ცნობები.

საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობათ სრული საფუძველი ჰქონდათ შიშისა, რადგანაც სულ ბოლო დროს რამდენიმე პრეცენდენტი მოხდა, მაგალითისთვის დაუსახელებით ბოსნია ჰერცოგოვინას. ეხლა, როდესაც სწყდება ევროპის ბედ-იღბალი, როდესაც ჩვენ ვიბრძვით უფლებისათვის, თვითნებობის წინააღმდეგ, ასეთი აზიური პოლიტიკა [illegible] იქნებოდა.

ჩვენს ევროპიელს მეგობრებს შეეძლოთ დამშვიდებით იყვნენ—მეფის მთავრობის ყარყათი სპობს ყოველსავე მიზეზს ეჭვისათვის. ამ ომმა, რომელმაც გამოიწვია რუსეთის სულიერი გარდაქმნა, გამოსცვალა აგრეთვე პოლიტიკის საშუალებანიც. რუსეთი ევროპად გარდაიქცა".

—

ამ ჟამად დამტკიცდა მინისტრთა საბჭოს ჟურნალი, რუსეთის თანამდებობის პირთა და დაწესებულებათა მიერ ფინლანდიაში რუსული ენის შესახებ. დამტკიცებულ გეგმის თანახმად, უნდა საბუთი, მიწერ-მოწერა, ანგარიშები და სხვა ასეთები გარდა აქტებისა, რომელიც საზოგადოებაში გამოსული, უნდა შემდგარი იყოს რუსულად მიწერ-მოწერა ფინლანდიის დაწესებულებათა გენერალ-გუბერნატორთან და საიმპერიო უმაღლეს დაწესებულებებით სათავეში, აგრეთვე უნდა სწარმოებდეს რუსულ ენაზე გენ.-გუბერნატორის შუამავლობით. რუსულ ენაზე მიწერ-მოწერა და საქმის წარმოება დაუყოვნებლივ სრულდება სამდივნოში ფინლანდიის სტასსეკრეტარტო ექსპედიციაში. სამის წლის შემდეგ ფინლანდიის სეიმის სამეურნეო ნაწილში და სენატის პროკურორთან, და ოთხის წლის შემდეგ კი — ფინლანდიის ცენტრალურ დაწესებულებებში, გუბერნატორებსა და საგუბერნიო სამმართველოებში. „სახ. გაზ."

საომარ ასპარეზთა მდგომარეობა

მართალია საომარი ასპარეზები ისე გამრავლებულია და მათი მდგომარეობა ისე გართულებული, რომ ყოვლად შეუძლებელი ხდება მათი დაახლოვებული სურათების დახატვაც კი, იმ ცნობათა მიხედვით, რომელთაც ძალიან მცირე რიცხვით გვაწვდიან სტრატეგიულის მოსაზრებით, მაგრამ მაინც საჭიროა გამოირკვეს ხოლმე საერთო მოხაზულობა ამ არა ჩვეულებრივი ბრძოლისა.

არამთუ ყოველ დღე და კვირა, ხანდახან რამდენიმე საათში ისეთი ცვლილებანი ხდება, რომ უკვე აწყობილს და დაბეჭდილს ამბავს მნიშვნელობა ეკარგება და „დაძველებულ" ახალ ამბად ითვლება. მაგრამ თვით სიდიადე ბრძოლისა ჰქმნის ერთგვარ მწყობრ მსვლელობას, რომელსაც ნახტომები მაინცა და მაინც ისეთი ხშირი არ მოსდევს. აი მაგალითად დასავლეთ ფრონტზედ ე. ი. საფრანგეთისა და ბელგიის საზღვართან გამწვავებული მდგომარეობა მთელი კვირაობით გრძელდება და ვერც ერთმა მხარემ ვერ დაჰქნია მეორე ისე, რომ რაიმე ღირსშესანიშნავ საწადელისათვის მიეღწია, თუმცა კი ხან ერთი წაიწევს წინ, ხან მეორე და სისტემატიურად სცდილობს გამარჯვებასა. გერმანია ამაგრებს ბელგიის ზღვის ნაპირებს, ზიდავს ნაღმებს, წყალქვეშ მავალებს, ჰაეროპლანებს და ცეპელინებს, თითქო ახლა ინგლისს უნდა შესთავაზოს ის სასტიკი და მკაცრი ძლევენი, რომელიც მისცა მთელ ბელგიას და ნაწილობრივ საფრანგეთსაც. მაგრამ ამ საერთო ცდაში კალეზედ და დიუნკირხენზედ მსვლელობა გაეყინა, რაკი შეერთებულმა ძალამ მოკავშირეთა, ბელგიელ-ფრანგულ-ინგლისური ჯარებისამ, — თავგანწირული ჯავშნიანი კედელი აღუმართა წინა. გერმანია კვლავ ემზადება, მაგრამ კი ვეღარ იწევს წინა ჯერ-ჯერობით.

მეორე ფრონტზედ მდგომარეობა უფრო უორესია თითქო: მთელ ფრონტზედ უკან ახევინებენ და ეს დახევა ყველაზედ ძვირად უჯდება ავსტრიას, რომელიც ჰკარგავს ხალხს, იარაღს და პოზიციებს. საერთო ფლოტი გერმანელ-ავსტრიელებისა უახლოვდება გერმანელების საზღვარს, თუმცა უკანასკნელნი ჯერ კიდევ რუსეთის ტერიტორიაზედ იბრძვიან და თავხედურად მაგრდებიან, თითქო არც როდისმე აპირობენ წასვლას. სამხრეთი ფრონტი ორადაა გაყოფილი: სერბიისა, სადაც უკანასკნელ დროს თითქო მიაწყნარეს ავსტრიელებმა მისი თავგამოდებული იერიშები და ოსმალეთისა, რომელიც ჯერჯერობით აქტივობას არაში იჩენს და წვრილმან კინკლაობით უკან-უკან იწევს. ეს კინკლაობა, ვგონებთ, არც გაძლიერდება ბუნებრივ და სტრა-

ტეგიულ მიზეზთა გამო: სიცივე და დიდი მთები ერთის მხრით და გამოუსადეგრობა გერმანიისათვის კავკასიაში ბრძოლის გაჩაღებისა მეორე მხრით— სრულ იმედს იძლევა, რომ სამხედრო ოპერაციები აქეთ ფრონტზედ დიდს ინტენსივობას არ გამოიჩენენ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში საზღვაო და სანაპირო ბრძოლას, საცა შესაძლებელია დიდი ამბები დატრიალდეს. შორეულ აღმოსავლეთის ფრონტზედ, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, იაპონელებმა ორი თვის ალყის შემდეგ, აიღეს ციდაო. სულ მოკლე ხანში, ოსმალეთის ფლოტმა ყუმბარები დაუშინა ნოვოროსიისკს, სევასტოპოლს, სიმფეროპოლს, ოდესას და უკანასკნელად ფოთსაც, დაღუპა რამდენიმე სამგზავრო და სამხედრო გემი. ესეთივე თავხედობა გამოიჩინეს გერმანულმა გემებმა ჩილის ნაპირებთან, საცა დაღუპეს ინგლისური ორი კრეისერი. სხვა წვრილმალ ამბებში თვალსაჩინო არაფერი მომხდარარა.

სამხედრო-ტექნიკური გაუმჯობესებანი

III

იმ საომარ იარაღთა აღწერის შემდეგ, რომელზედაც წინა წერილებში გვქონდა ბაასი, დაგვრჩა აღწერა მხოლოდ იმ ხელსაწყოებისა, რომელთაც თანამედროვე ომში არა ნაკლები მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე ზარბაზანს, ჰაეროპლანს და სხ. ყოველი ტექნიკური თუ სხვა რამ მეცნიერული გამოგონება, და აღმოჩენა, ყოველი გაუმჯობესება საუკეთესოდ არის გამოყენებული ამ დიად ბრძოლაში. ისეთ საუცხოვო გამოგონებას, როგორიც არის ტელეგრაფი, მავთულიანი თუ უმავთულო, ან ტელეფონი · პირველ ხარისხოვან როლს თამაშობენ დღესა. ეხლანდელი ომი ისეთ დიდ ფრონტებზედ სწარმოებს, 100—400—500 ვერსის სიგრძეზედ, რომ მისი საერთო ხელმძღვანელობა, მარტოღა ტელეგრაფითა და ტელეფონით არის შესაძლებელი. მთავარ შტაბში იკრიბება ყველა ცნობა ადგილ-მდებარეობისა, წყლებისა, მთებისა, ამინდისა, მოგროვილია ყოველგვარი პოლიტიკური ეთნოგრაფიული, ტოპოგრაფიული და სხ. რუკები, შეკრებილია მცოდნე პირები, რომელნიც განუწყვეტლივ ჰკრებენ ცნობებს შტრის სიდიდე სიძლიერეზედ და თავის ჯართა მოძრაობაზედ და ამგვარად აწონილ-დაწონილ ცნობებით ხელმძღვანელობენ ბრძანების გასაცემად. მაშასადამე მთავარ შტაბის და მომქმედ ჯარების შუა გაბმული მართველები ნამდვილ დ ადამიანის ნერვების როლს თამაშობენ. ესევე ტელეგრაფი საჭიროა გრძელ ფრონტზე გაჭიმულ ჯარებისათვის ერთმანეთთან კავშირის დასაჭერად. ტელეფონი უფრო მცირე როლს თამაშობს, რადგან იგი ემსახურება უფრო ვიწრო მიზნებს: იგი აერთებს ცალკე ჯარების უფროსებს და ბრძოლაში გასულთ. ეს საველე ტელეფონი სახელდახელოდ იმართება ხოლმე, ამისი მიმღები აპარატები ბევრჯელ უბრალო ხეზედ, ადამიანის ზურგზედ, ან პირდაპირ დედამიწაზედ არის დანდობილი. მისი საშუალებით ყოველი ცნობა ეძლევა ბევრჯელ რამდენიმე ვერსით დაშორებულ უფროსს და ყოველივე ბრძანება გადაიცემა სამოქმედოთ.

ტელეფონი გერმანელებს, მაგალითად, სხვადასხვანაირი აქვთ მიწის ზედაპირზედაც, როგორც ჩვეულებრივ ყველა ჯარსა აქვს, და **მიწის ქვეშაც.** ეს უკანასკნელი იმითაა კარგი, რომ უჩინარია და მტერი თუ წაახდენს ზედაპირს, მოსპობს მართულს და ბოძებს, ქვეითი მაინც რჩება და ცნობები ეძლევათ უფროსებს. ეს ქვეშეთა ტელეფონების აპარატები ბევრჯელ წყლის ორმოშია გამართული, ბევრჯელ უბრალო ხეში, სკაში და ისეთ ადგილებში, რომელთაც მტერი ძნელათ თუ მიაქცევს ყურადღებას. ეს მით უფრო საჭირო და სასარგებლოა, რომ საიდუმლო ტელეფონის საშუალებით, გერმანელთ შეუძლიანთ ჯაშუშების და ჯარისკაცთა საშუალებით იმ ადგილიდანაც მიიღონ ცნობები, რომლებიც უკვე დაჭერილი აქვს მტერსა. შესაძლებელია ისიც, რომ მტერს ზურგით მოექცევა ადამიანი და თავისიანებს ყოველ მათ მოძრაობას, აცნობებს. ასეთი როლის თამაში შეუძლიან უმავთულო ტელეგრაფსაც დიდ მანძილზედ. გემები, მაგალითად, უმავთულო ტელეგრაფით გაცემულ ჩვენებათ ემორჩილებიან.

მეორე რიგი ხელსაწყოებისა არის ყოველგვა-

რი **პროჟექტორები**. პროჟექტორები არის მოძრავი და უძრავი. მოძრავები უფრო მცირენი არიან, შედგმულნი მატარებლებსა-ავტომობილებსა და სხ. ეტლებზედ. უძრავნი—მსხვილები და ადგილზედ ან დიდ სამხედრო გემებზედ გამაგრებულნი. მათი როლიც სხვადასხვანაირია. ისინი ანათებენ ადგილ-მდებარეობას, რომ გასინჯონ, მტერი ხომ არსაიდან მოდის ღამე, ან ჯარი მიწაზედ; ან გემი, ან წყალქვეშ მავალი ნავი ზღვაზედ და სხ. პროჟექტორებს ხშირად ხმაროობენ იმისათვის, რომ მტერს თვალი აუბვიონ და ნამდვილი თავისი ადგილ-მდებარეობა და ძალა დამალონ ან კიდევ იმისათვის, რომ თვალებში შეანათონ მოსულ მტერს და ამით დააბრმავონ იმ დროს, როცა თავისიანებს მიუსევენ. ყველას მოეხსენება, რომ დიდი სანათურისაკენ თუ მიდიხარ, გარშემო ალარაფერი სჩანს ხოლმე. ასეთსავე პროჟექტორებს ხმაროობენ ჰაეროპლანები და დირიჟაბლები და მათი საზვერი ჯარებიც. რამდენიმედ პროჟექტორები შველიან იმ დარგშიაც, რომელსაც ეწოდება „სიგნალიზაცია", ე. ი. ნიშნების მიცემა. თუმცა უმთავრესად აქ როლს თამაშობენ სხვა და სხვა ფერის ზომის და კომბინაციების სანათურები, შუშხუნები და სხ. ეს სიგნალიზაცია ღამე მომქმედი, რასაკვირველია დღისით სხვა გამოხატულებას იღებს. მაგალითად ირკვევა, რომ გერმანელებს ისე საოცხოვოდა აქვთ შემუშავებული ეს დარგი, რომ არამც თუ თავის ქვეყანაში, უცხოეთშიაც ყველგანა ჰქონიათ მოწყობილი მრავალი ადგილები, საცა წინდაწინვე გაგზავნილი ჯაშუშები დაწვრილებით აცნობებენ თავიანთებს ყოველგვარ ცნობას სხვა და სხვა ნიშნებით. პრესაში იყო ასეთი მაგალითები: სოფლის სამრეკლოს საათის საშუალებით, ერთი გერმანელი ჯაშუში ანიშნებდა თავისიანებს ინგლისელ ჯარის მოძრაობას, რიცხვს და სხ. პოლონეთში ერთი მემამულე ასევე იქცეოდა შუშხუნების შემწეობით და სხ. გამოყენებულია ყველაფერი, ყოველი წვრილმანი, რომ ჯარის უფროსს შეეძლოს გათვალისწინება შემდეგი ნაბიჯებისა, რაკი სულ უბრალო შემთხვევას შეუძლიან დაღუპოს ან გამარჯვებით ატაროს.

დღევანდელი ომი წინანდელებიან შედარებით, უფრო მიწაში სწარმოებს, თუ ითქმის ასე, ვიდრე მიწის ზედა პირზედ. რადგან ეხლანდელი საომარი იარაღები მეტად სასტიკნი და ძლიერნი არიან, მათთან პირდაპირი შებრძოლება მეტად სახიფათოა და მოპირდაპირე ჯარები სცდილობენ, რაც შეიძლება მეტად ამოეფარონ რასმე. ყოველ მხრივ საუკეთესო ფარი არის მიწა. იგი [illegible] ყველგან არის და ზიდვა არა სჭირდება [illegible] ხაუცხოვო თვისება აქვს, როგორც ყოველგვარ იარაღის მოწინააღმდეგეს; ცნობილია, რომ მიწის მოზრდილ ბორცვს ვერც ერთი ტყვია ან ყუმბარა ვერ უვლის, და შიგვე ჰკარგავს თავის ძალას, შიგა ნელდება და თუნდაც აფეთქდეს იმდენ ზიანს ვერ აყენებს გარემოს. კედელი, დაყრილი ქვა, ფოლადი და სხ. უფრო საშიშია, ვიდრე მიწა, რადგან პირველნი თითონ იმსხვრევიან ყუმბარებისაგან და თავისი ნატეხებით არა ნაკლებ ზიანს აყენებენ ჯარსა, ვიდრე თვით ყუმბარა მიაყენებდა. მიწა კი თითქოს ისეთ როლს თამაშობს ყუმბარისათვის, როგორც წყალი ანთებულ მაშხალისათვის, ყუმბარა შიგ ქრება ან მცირედ შუშხუნს იწყობს. ყველა ამისათვის მიწის **თხრილებს** დიდი მნიშვნელობა ეძლევათ.

ეს თხრილები სხვადასხვანაირია. სულ უბრალო თხრილი წარმოადგენს სიგრძეზედ ამოღებულ მიწას, რომელშიაც ჩასხდებიან ან ჩაწვებიან ხოლმე ჯარისკაცნი, რომ ნაკლებ გამოჩნდნენ მტრისათვის, მეტი ზიანი მიაყენონ თვითონ და უკეთ კი იყვნენ დაფარულნი ამავე მიწით. უბრალო თხრილიც ორგვარია: ერთი ისეა მოწყობილი, რომ ამოღებული მიწა მტრისაკენ არის დაყრილი, ეს მაშინ, როცა ჯარი თვითონ აპირობს იერიშს ან მიდის კიდეც თან მიდის, და თან წინ თხრილებს წაიძღვარებს; მეორე თხრილია, როცა მოსაგერებლად კეთდება მაშინ თხრილი მტრისაკენაა და ამოყრილი მიწა კი თავისიანებისაკენ. ასეთ თხრილებს ბევრჯელ ამაგრებენ ეკლიანი მავთულით, დამტვრეული შუშით (ცხენებისათვის სიარულის გასაძნელებლად), ორმოებით (**волчьи ямы**), ფუგსებით (ასაფეთქებელ ადგილებით) და სხვა. კარგად გაკეთებული და შემუშავებული თხრილი ბევრჯელ საუკეთესო ციხეზედ უძლიერესი და უკეთესია, მეტადრე იმისთანა უზარმაზარ და ძალოვან ზარბაზნების წინაშე, რომელთაც 10—60 ფუთიან ყუმბარების სროლა შეუძლიანთ. გერმანელებს სადა თხრილებს გარდა, აქვთ გადახურული თხრილებიც, ე. ი. სადა თხრილი რამდენიმე ვერსის სიგრძეზედ დახურულია ხეებით და ზედ

დაყრილ მიწით და მტრისაკენ მარტო ვიწრო პირი აქვთ გახსნილი, საიდამაც ისვრიან თოფს, ტყვიის მფრქვეველებს და სდგავენ ფოლადის პატარ-პატარა კოშკებს ზარბაზნებით. ამ დახურულ თხრილებში ჯარისკაცები დაფარულნი არიან წვიმა-თოვლისაგან, სიცივისაგან და დრო გამოშვებით დასვენება-დაძინებაც შეუძლიანთ, რადგან თხრილშიაც და იმის უკანაც საგანგებოდ გამოთხრილი მღვიმეები არის. ამ თხრილების ოსტატობაში, ავსტრიელებმა უფრო მეტი უნარი გამოიჩინეს სხვებზედ და; როგორც გაზეთები იუწყებიან, მათი თხრილები მთელ მიწის ქვეშ გამართულ ქალაქს მოაგონებენ ადამიანსა.

თხრილებს მოსდევენ **ჯებირები** და **ხერგები**.

ჯებირი თხრილთან შედარებით ხელოვნური არის, იგი სხვა და სხვა მასალისაგან გაკეთებული დასაბრკოლებელი კედელია, ჯებირი შეიძლება ხისაც იყოს, კედლისაც, მიწისა, **ქაღალდისა**, რკინისა და რისაც გნებავთ—იგი გაუმჯობესებელი ბარიკადაა რომელსაც აშენებენ ყველაფრისაგან, რაც ადამიანს ხელში მოხვდება. საუკეთესო მასალად ითვლება ისევ მიწა, ფქვილი და ყოველი მტვერმაგვარი. ქაღალდის რულოები ან დასტები იმით არიან კარგი, რომ ტყვია და ყუმბარა ზედ იხვევს და ჰკარგავს თავის ძალას, რაკი ცნობილია, რომ ყველა გასროლილი საგანი ბზრიალით მიდის წინა.

ქაღალდისას აკეთებენ ერთგვარ ფოლადსაც, რომელიც მაგარი და ამასთანავე მსუბუქიც არის. ქაღალდის გარდა, გერმანელები ხმარობენ მავთულის ხვეულებს, რომელთა დიდი რკალები პირდაპირ ჰყრია მიწაზედ, ან ჯებირზედ და ის დანიშნულება აქვთ, რომ შიგ ჩავარდნილი ყუმბარის მოქმედება გააქარწყლონ. მართლაც, ყუმბარა რომ გასკდება, აქეთ იქით გასტყორცნის ხოლმე ტყვიას და ნატეხებს, რომელთაც მავთულის ხვეული აღარსად გაუშვებს, საზოგადოთ კი ყველა რბილი საგანი უფრო გამოსადეგია ჯებირისათვის, ვიდრე მაგარი: ბალიში, ლეიბი, ლოშაკი, ტილო და ყოველგვარი ქსოვილი და მოთელილი. უკანასკნელებში ერთი უკეთესთაგანია ჩვენებური ნაბადი, რომლის 3 5 7 კეცს ტყვია ვერ ატანს, თუ ნაბდები გაჭიმულია ერთიმეორესთან დაშორებით.

ხერგი იგივე ჯებირია, მხოლოდ უფრო შემოზღუდული და იმართება ვიწრო გასავლებში, ხევებში, გზებზედ და სხ.

ომის დროს, დიდი მნიშვნელობა აქვს ჯარის მოძრაობას და მტერი ყოველთვის სცდილობს დაჰფაროს თავისი და გაიგოს მტერის მოძრაობა—ამ მიზნით გერმანელებს ორი საშუალება აქვთ: ჯაშუშობა-დაზვერა და ჰაეროპლანი—მტრის მოძრაობის შესატყობად და **ბოლის კედელი** სხვა მოსატყუებელ საშუალებებთან ერთად—თავიანთ მოძრაობის დასაფარავად და მტრისა შეცდომაში შესაყვანად, ბოლის კედელი შედგება ერთგვარი ქიმიური შენადგენისა, რომელსაც აპნევენ რამდენიმე ვერსის სიგრძეზედ და ერთბაშად ცეცხლს უკიდებენ. ნამდვილი ბოლის კედელი იმართება რამდენიმე ხნის განმავლობაში და მტერი ვერ ხედავს იმის უკან რა მოძრაობა ხდება. ეს კედელი რამდენჯერმე აიმართება მტრის თვალწინ და სულ უბნევს გზაკვალსა.

კიდევ და კიდევ ბევრია ძველი და ახალი საშუალებანი, რომლითაც თანამედროვე მებრძოლნი ერთმანეთს ჟლეტენ, იგერიებენ, ატყუებენ და ზიანს აყენებენ. მაგრამ ეს წერილები მეტად გაგვიგრძელდა და დანარჩენ საშუალებათა აღწერაზედ აღარ შევჩერდებით.

მეომარი.

რედაქტორ-გამომცემელი
 რ. გაბაშვილი.

საჯარო ბიბლიოთეკა

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა არ. მ. კერესელიძისა, გაბაევის შესახვევი № 1.